


# გაიცანი

## ამონაშვილების ბანაკი „მზიანეთი"

## მისი ცხოვრება და საქმიანობა

# დედამიწის ზურგზე არსებობს ქალაქი მზიანეთი.

## ის მოთავსებულია სამ ჰექტარზე, კახეთში, თელავთან ახლოს, ამონაშვილის კარმიდამოში.

მზიანეთში რამდენიმე დაწესებულებაა, რომლებშიც მზიანეთის მოქალაქეებს შეუძლიათ იმუშაონ და ნამდვილი ხელფასი მიიღონ, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ექნებათ.




ყველა ბავშვი, ვინც მზიანეთში შემოაბიჯებს, ხდება მზიანეთის მოქალაქე. მოქალაქე ბავშვი კი აღარ არის, დიდი და თავისუფალი ადამიანია.

აქ არის ნამდვილი კაფე. კაფეში მოქალაქეები ამზადებენ გემრიელ სნექებს და სასმელებს, რომლებსაც შემდეგ მოსულ სტუმრებს სთავაზობენ.

შემოქმედებითი სახელოსნოში იკრიბებიან მზიანეთის ის მოქალაქეები, რომლებსაც შემოქმედებითი ნიჭი აქვთ და უნდათ მისი გამოხატვა ხატვაში, სპექტაკლის დადგმაში, ცეკვაში ან სიმღერაში.

# ბუნების ინსტიტუტი

ბუნების ინსტიტუტში მუშაობენ ნამდვილი მეცნიერები. ისინი შეისწავლიან მცენარეებს, ცხოველებს, მთლიანად ბუნებას. ისინი უვლიან ნამდვილ ბოსტანს და მოსავალს გადასცემენ კაფეს.

# მედია ცენტრი

მედია ცენტრში სამუშაოდ მიდიან მზიანეთის ის მოქალაქეები, რომლებსაც უნდათ და შეუძლიათ საინტერესოდ მოუყვნენ მთელ ქვეყანას თავისი ცხოვრების შესახებ. და არა მარტო თავისი, მზიანეთის ცხოვრების შესახებაც. ისინი იწერენ ინტერვიუებს, ამონტა-ჟებენ და უშვებენ საკუთარ ფილმებს, მიყავთ ბლოგი, ქმნიან საკუთარ ინტერნეტ გვერდებს. მოკლედ აქ სამუშაო ბევრია.

# მაშველების სამსახური

მაშველები ყოველთვის მზადყოფნაში არიან. ისინი ელექტრომობილებით დადიან. მათ რაციით იძახებენ და ისინი ეხმარებიან ყველას. ეს ძალიან რთული და მნიშვნელოვანი საქმეა, ამიტომ გამძლეობას და ადამიანების სიყვარულს მოითხოვს.

# უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტი

მსოფლიოსთან ურთიერთობის გარეშე არაფერი გამოვა. უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები მხოლოდ ინგლისურად და რუსულად ლაპარაკობენ, წერენ სტატიებს და აგზავნიან საზღვარგარეთ, რათა უცხოეთში უკეთ გაიცნონ ქალაქი მზიანეთი და მის მკვიდრთა ცხოვრება.

# გართობა – თუმცა ცხოვრება მარტო მუშაობა ხომ არ არის?

მზიანეთში გართობისა და დროის სასიამოვნოდ გატარების ბევრი შესაძლებლობაა.
გართობისათვის, სამუშაოს შემდეგ, მზიანეთის მოქალაქეებს შეუძლიათ კლუბებში შეკრება.

## ფეხბურთი

ფეხბურთის კლუბში მზიანეთის მოქალაქეები ხდებიან ნამდვილი ფეხბურთელები და მონაწილეობენ მზიანეთის ჩემპიონატში.

## ხელოვანთა კლუბი

მზიანეთის ხელოვანი მოქალაქეები ამზადებენ სპექტაკლებს და კონცერტებს.

## საინტერესო საუბრები კოცონთან

საღამოობით მოქალაქეები მოუსხდებიან კოცონს, ერთამენთს უყვებიან ჯადოსნურ ისტორიებს და ერთად ოცნებობენ.

## სატურაო აუზი

რომელი ქალაქი იარსებებს სატურაო აუზის გარეშე? მზიანეთში ძალიან მაგარი აუზია. აქ კარგად შეიძლება დასვენება.

## ბიბლიოთეკა

ზოგიერთი მოქალაქე შეიძლება წიგნის კითხვით დაინტერესდეს. მზიანეთში დიდი ბიბლიოთეკაა. აქ შეგვიძლია შევიკრიბოთ და ერთად წავიკითხოთ. რაც მოგვინდება, ის რაც უნდა.

# სწავლა – თუმცა ზოგიერთ მოქალაქეს დასვენების და გართობის მაგივრად სწავლა უნდა.

## ბიზნესის სკოლა

მზიანეთის იმ მოქალაქეებზე, ვისაც თავისი ბიზნესის დაწყება უნდა, შეუძლიათ ჩაეწერონ ბიზნესის უნივერსიტეტში და საუკეთესო ბიზნეს გეგმები შეადგინონ.

## მანქანის ტარების სკოლა

მონდომებული ბავშვები ისწავლიან ელექტრო მობილის ტარებას. იგივეა, რაც ნამდვილი მანქანის ტარების სწავლა.

# ქალაქი მზიანეთი

## მზიანეთის დიდი მასწავლებელი

მზიანეთს ჰყავს ბრძენი დიდი მასწავლებელი. მისი მოსმენა ყველას უნდა, იმიტომ, რომ მალე ოთხოცდაათი წლის გახდება და ჰავერ-ბორდზე დადის... ოლონდ ჩქარა.

## მზიანეთის მერი

მზიანეთის ცხოვრებას ხელმძღვანელობს მერი. ის გასცემს პასპორტებს, ნებართვებს, ხელფასებს... მოკლედ, გულუხვია და ყველას უყვარს. სხვათა შორის, მის თანაშემწედაც შეიძლება მუშაობა.

მზიანეთის ყველა მოქალაქეს თავისი ნამდვილი პასპორტი აქვს. პასპორტში აღნიშნულია, თუ სად მუშაობს მოქალაქე, როგორ მუშაობს და რა ხელფასი უნდა აიღოს.




მზიანეთის მოქალაქეები ცხოვრობენ სამეგობროებში, რომლებშიც ოთხი ან ხუთი მოქალაქეა ერთად. თითოეული სამეგობრო ცალკე კოტეჯში ან დიდ ოთახში ცხოვრობს.

რა თქმა უნდა, მზიანეთის მოქალაქეები თავისუფლები არიან. ისინი იხილავენ და იღებენ საკუთარ კანონებს.

მზიანეთს თავისი საკუთარი ვალუტა აქვს. მას ქვია დარი. სწორედ დარებში იღებენ ხელფასს მზიანეთის ის მოქალაქეები, ვისაც მუშაობა უნდა.

## აი, ასეთია მზიანეთის მოქალაქეების ცხოვრება.

თუ მოგინდათ, გელოდებით აქ 19-დან 26 აგვისტომდე.

ოღონდ ათიდან თექვსმეტ წლამდე უნდა იყო.